ცნობის ფურცელი

VI ყოველ-დღიური გამოცემა 1901 პარასკევი, 21 დეკემბერი № 1677

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის"-„ცნობის ფურცლის" რედაქციის კანტორაში [illegible] ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.**

კნეინა ნინო სვიმონ წერეთლის ასული დადიანისა, კნეინა ანასტასია სვიმონ წერეთლის ასული მუხრან-ბატონისა და თავადნი კონსტანტინე, დიმიტრი, გრიგოლ, ალექსანდრე და შალვა სვიმონის ძენი წერეთლები, გულითადი მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა ძვირფასის დედის კნეინა

დარია ივანე აბაშიძის ასულის წერეთლისას,

სთხოვენ პატივი სცენ და დაესწრნენ შაბათს, ამა დეკემბრის 22-ს, დილის 9 საათზე, მიცვალებულის გამოსვენებას დ. საჩხერიდან ჯრუჭის მონასტრის საგვარეულო აკლდამში დასაკრძალავად. (1—216—1)

ქართული თეატრი

კვირას, 22 დეკემბერს 1901 წლის

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

« **დაკლებულის ფასებით** »

I

თამარ ბატონიშვილი

ისტორიული დრამა 5 მოქ. კ. მესხისა.

II ახალი პიესა

ქლიავი

ვოდევილი 1 მოქ. რუსულიდან ნ. გალუსტოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი; ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, მათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანოვი, იმედაშვილი, სარჯველაძე და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე. **ფასები დაკლებულია.**

მზადდება გ. გედევანოვის საბენეფისოდ ახალი პიესა „მუზმუზელა" მოლიერისა.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

კბილის საექიმო კაბინეტი
ელისაბედ რომანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ი. ზ. ფილდროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. გ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ხ. ბაქაძე—ბავშვებისა 11—12.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—1 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარხუდოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. გეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე.

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით, ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი, ტელეფონი. 791.

ექიმი
კ. მ. ელიოზიშვილი

იღებს ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობით) დილის 12—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

შემთხვევით **იყიდება** ტფილისში **ი. ი მაიერის** ხელსაქმის ცნობილი **მაღაზია** მთელის თავისის მოწყობილობით, საქონლითა და ქონებით და მასთან ხავერდის სახელოსნოთი. ფირმა არსებობს 1867 წლიდან. (3—214—1)

დეპეშა

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

19 დეკემბერი

პეტერბურგი. 19 დეკემბერს ვარშავის რკინის გზით დაბრუნდა კიევიდან დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მეუღლით. 19 დეკემბერს დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანეს ძემ დაათვალიერა საიუველირო და სხვა ნაწარმოებთა სახალხო-შორისო ხელოვნების გამოფენა. 19 დეკემბერს, მიწად-მოქმედების მინისტრის თანადასწრებით, შესდგა უკანასკნელი სხდომა სასოფლო-სამეურნეო საქმეთა მოღვაწეების პირველი კრებისა. ეს კრება დაიხურა. შემდეგი კრება მოხდება მომავალი წლის დეკემბერში.

ტვერი. ტვერის გუბერნიის თავად-აზნაურობამ, საგუბერნიო კრებაში საქმეების გათავების შემდეგ, სადილი გაუმართა გუბერნატორს.

კიევი. ქალაქის არჩევნები მოხდება იანვრის დამლევს. საარჩევნო სიებში შეტანილია 2,800 კაცი, მათ შორის 2,297 სახლის პატრონები.

კრონშტადტი. ყინულის მჭრელი „ერმაკი" რეველში წავიდა.

ვარშავა. დონეცკის კოქსის პოლონეთში გადატანის ტარიფს ამცირებენ, რათა იმით შესცვალონ სილეზის ნახშირი ქარხნებში. რადგანაც სამუშაო სრულიად არ გაუთავებიათ ვარშავის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის შენობაში, ამისთვის ინსტიტუტის გახსნის დღესასწაული გადიდვა სამაისოთ. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაამტკიცა წესდება დედაკაცთა დახმარების ქრისტიანულ საზოგადოებისა.

დურბანი. „რეიტერის სააგენტოს" გადმოცემით, ლენგლსკთან და ბოტას გასავალთან 15 დეკემბერს ბრძოლა ჰქონდათ ბურებთან. მტერი უკუქცეულ იქმნა; ინგლისელებს სამი ჯარის კაცი დაუჭრეს. აგრეთვე იტყობინებიან, რომ ბოტა ლამობდა 16 დეკემბერს გაეგზავნა დევეტისათვის მშველელი ჯარი, მაგრამ ეს სურვილი ვერ აუსრულდა.

რიგა. ვილნოს ოლქის უფროსმა გენერალმა გურჩინმა დაათვალიერა უსტ-დვინის სიმაგრე და საღამოს რიგაში დაბრუნდა. დღეს დილით დაათვალიერა სამოსწავლო ბატალიონი და შემდეგ ციხე. როგორც სჩანს, რიგაში გენერალი რამდენიმე დღე დარჩება.

ლონდონი. მეფემ დაავალა უელსის პრინცს, რათა წავიდეს ის გერმანიაში დღესასწაულზე დასასწრებლად, გერმანიის იმპერატორის დაბადების დღის გამო.

დარმშტადტი. დიდი ჰერცოგი მოვიდა აქ 18 დეკემბერს შუადღის შემდეგ; ამავე დროს მოვიდა დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მეუღლით.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხრეთ-აფრიკა. გაზეთ «ნოვოსტი»-ს სწერენ ლონდონიდან:

«ეს არის ამბავი მოვიდა, დევეტმა ტვიფონტენს ახლო შესანიშნავად გაიმარჯვა. 400 ინგლისელი ჯარის-კაცი დაატყვევა და 2 ზარბაზანი ჩაიგდო ხელში.

ინგლისური გაზეთები ძალზედ ჰკბენენ ლორდ კიტჩენერსაო.

ეს მოვინისტურ გაზეთებზეა, ალბად, ნათქვამი. საწყალი ლორდ კიტჩენერი. რა წყალში უნდა ჩავარდეს! ცალკე ბურებს შეაძულა თავი, ცალკე კიდე ვერც ინგლისელი ჯინგოისტების გული მოიგო. ჯინგოისტებს უნდათ, რომ ერთის ხმლის დაკვრით მოუღოს ბოლო ბურებს, ის კი ავიწყდებათ, რომ კიტჩენერი კი არა, ნაპოლეონიც ვერას გახდებოდა იმათთანა მოხერხებულ მეომრებთან, როგორიც ბურები არიან. თორემ განა ლორდ კიტჩენერი ურიგო სარდალია: მაგისთანა მოხერხებული და გამჭრიახი სარდალი ბევრი არაა მთელ ქვეყნიერობაზე. ზოგიერთი სხვაგვარებური გაზეთებიც დასცინიან კიტჩენერს, მაგრამ აბა ერთი იმის ადგილას თავიანთ საქებური გენერლები გაგზავნონ, აბა ერთი

ფელეტონი

მეორე და უკანასკნელი წერილი
ბ. იაკობ გოგებაშვილს

(დასასრული*)

თქვენ ამტკიცებთ, რომ, თუ უწინ საქმე კარგად მიდიოდა, ეს მხოლოდ იმის მიზეზია, რომ საქმით ყველაფერს განაგებდა მასწავლებელი ბ. ბოცვაძე და სახელით კი ბ. კახიძეო. ეს ისეთივე ლეგენდაა და ისეთივე ტყუილი ამბავია, როგორაც თქვენ მიერ მოგონებული „ხელოვანი ფრანგი მხატვარის" არსებობა კავკაზში, რომელსაც ბ. ბოცვაძე სურათებს აკეთებინებს, და მღვდლის ნათაძის ნათესაობა სკოლის ერთს მასწავლებელთან.

თქვენ იმ ზომამდე მოგატყუეს ზოგიერთებმა და ისეთ ამბებს გაგებინებენ, რომ ჩვენ აქ კითხვის დროს მწარედ ვიცინით და ამასაც სიბრალულით ვამბობთ: «Какъ околпачили заслуженнаго человѣка»-ო. თქვენ რომ „ხელოვან ფრანგ მხატვარს" იხსენიებთ, ის სულ უბრალო ფოტოგრაფია კავკაზში—მართალია, გვარი ფრანგული აქვს—ოჟე, მაგრამ ისეთი ფრანგია, როგორიცა ვარ მე (ჩემს გვარსაც ხომ ფრანგული დაბოლოვება აქვს). თქვენ მიერ დევნილი მასწავლებელიც ისეთი ნათესავია მღვდლის ნათაძის, როგორიც თქვენი—გოგებაშვილის. ეს არა სიმართლე თქვენ ალბად იმიტომ დაგჭირდათ, რომ პატივცემულის მღვდლის პასუხი გაგებათილებინათ (ასეთი ხერხი ვერ არის მოხერხებული ხერხი, და არ გეკადრებათ არც თქვენ და არც იმათ, ვინც კავკავიდან თქვენ შეგატყობინათ).

რამდენადათ საცოდავი კავკაველი ფოტოგრაფი ოჟე არის „ფრანგი ხელოვანი მხატვარი", იმდენადაც ბ. ბოცვაძე იყო და არის სკოლის ფაქტიური გამგე. ის დანიშნა გამგეობამ, როგორც მასწავლებელი, და შესაფერის ქაღალდით გაუგზავნა მაშინდელს გამგეს ბ. კახიძეს. ბ. კახიძე მუდმივ ფაქტიური და შეურყეველი გამგე იყო და ბოცვაძე შეიძლება ფიქრობდა, მაგრა მაინც ვერ ბედავდა გამგეობა გაეწია. ერთხელ როდესაც ბოცვაძემ თავისით მისწერა ქაღალდი ბ. დირექტორს, წ. კ. საზ. გამგეობამ ბოცვაძეს გამოუგზავნა შენიშვნა და გაახსენა, რომ ის უბრალო მასწავლებელია. ან საიდან მოახვიეთ იმას თავზე ტერმინი—„უფროსი მასწავლებელი". ინსტრუქცია არ სცნობს არც უფროს, არც უმცროსს და არც შუათანა მასწავლებელს, როგორც თქვენ ასახელებთ. მასწავლებლები ყველა თანასწორნი არიან და მეც თანასწორად მიმაჩნია ისინი და სანამ ინსტრუქცია არ შეიცვლება, ვერც ერთს ვერ ვაუფროსებ.

რომ თქვენი სიტყვები მოგონილია, ამას ბ. კახიძეც დაამტკიცებს. თქვენა და თქვენთან ერთად ბ. ვ—ლი („ივერია" № 257) ამბობთ, რომ გამგე იყოს—სახელით გამგე—მხოლოდ კონტროლიორი და რევიზორი და სკოლის ფაქტიური გამგებლობა კი მასწავლებელს უნდა ებაროსო. ასეთი შეუსაბამო აზრი არის საქმის გაუცნობლობის შედეგი:

სკოლის გამგე არის პასუხის მგებელი ყველაფერში და ითვლება სკოლის თვითმპყრობელ მეთვალყურედ და პატრონად; არსებული აქ სიმპატიური და ფრიად სასარგებლო დაწესებულება—სამზრუნველო კომიტეტი, რომელსაც აქაურ საქმეებში ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღვის, არის დაწესებულება შინაური, რომელსაც სცნობს და ამტკიცებს მხოლოდ ტფილისის გამგეობა—და აქაური მთავრობა არ სცნობს არც მას და არც მის თავმჯდომარეს. ტფილისის გამგეობა, რომელსაც სახელით ეკუთვნის სკოლა, ძალიან შორს არის. ისეთი წელიწადიც შეხვდება, რომ აქაური მთავრობა ტფილისის გამგეობას ერთს ქაღალდსაც არ გაუგზავნის. მთავრობას სჭირია და გამგეობისათვისაც ხელ-საყრელია, რომ აქვე, კავკავში ჰყავდეს სკოლას პასუხის მგებლად ისეთი პირი, რომელიც სახელმწიფო სამსახურშია და რომელიც სკოლის პედაგოგიურისა და ეკონომიურის მხრივ აგებს პასუხს თავისი სახელმწიფო სამსახურით და თავისი ჯამაგირით. რადგანაც ასეთი დიდი პასუხის გება აქვს გამგეს, მას არ შეუძლია იყოს მხოლოდ კონტროლიორად და არა ფაქტიურ გამგედ, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას შეუძლია დიდს განსაცდელში ჩავარდეს. თუ მე პასუხის გებისაგან განმათავისუფლებენ, მადლობის მეტი არაფერი მეთქმის და სანამ კი ეს პასუხის გება მაქვს, ვეცდები ფაქტიური გამგე დავრჩე და მასწავლებლებსაც თავიანთ კალაპოტში ვამყოფებ. რაც შეეხება კონტროლიორობას, სკოლას საკმაოდ ჰყავს კონტროლიორების რიცხვი. ინსტრუქციის ძალით კომიტეტის წევრები ყველა კონტროლიორებად ითვლებიან. ისინი განაგებენ არა მარტო სკოლის ეკონომიურ მხარეს, არამედ ნება აქვთ გაკვეთილებზედაც იარონ.

თქვენ ამბობთ, რომ გამგის თანამდებობა ერთად ერთი ასამაღლებელი საფეხურია მასწავლებლისათვის და ამიტომ ფიქრობთ, ბ. ბოცვაძე დააჯილდოვოთ ამ თანამდებობით, როგორც გამოცდილი პედაგოგი, და ამასთან ქებით იხსენიებთ მის პედაგოგიურსა და ლიტერატურულს მოღვაწეობას.

ბ. ბოცვაძეზე, როგორც დახელოვნებულ და მშრომელ მასწავლებელზე, მეც კარგის აზრისა ვარ და მის შრომასაც მეც ღირსეულად ვაფასებ, რაც შეგიძლიათ დაინახოთ

---

*) იხ. „ცნობ. ფურც." № 1676

იმათმა ჯარებმაც და ოფიცრებმაც იწყნიან, რა არის თავისუფალ მოქალაქე-მეომრებთან ბრძოლა და მერე უძრახონ ლორდ კიტჩენერს და საზოგადოდ ინგლისის ჯარს. ინგლისელ ხალხს გაჯალათობას ვერავინ უძრახავს მთელ ქვეყნიერობაზე... ამაზე სხვა დროს მოგახსენებთ როგორმე... თავისუფლებისათვის მებრძოლ შეგნებულ ხალხთან ბრძოლა ყოველთვის ძნელი ყოფილა, და იქნება კიდეც. ინგლისელ ჯინგოისტებს ავიწყდებათ ეს უბრალო ჭეშმარიტება, აღარ ახსოვთ ძველი რესპუბლიკელი ბერძნების ბრძოლა სპარსეთთან, ჰოლანდიელების ბრძოლა ესპანიასთან, შვეიცარიელებისა ავსტრიასთან, ამერიკელებისა ინგლისთან და რესპუბლიკელი ფრანგებისა მთელ ევროპასთან. ჯინგოისტებს აღარ ახსოვთ ისტორია, სამაგიეროდ ლორდ კიტჩენერს კი კარგად გულში ჩასჭრია ეს ამბავი. როცა 1899 წლის გასულს სუდანიდან სამხრეთ აფრიკაში გაგზავნეს, მაშინვე უთქვა: «არა მგონია, მოქალაქეებთან (ბურებთან) რამეს გახდეს ჩვენი ჯარიო. ეს თავისი აზრი ლორდ კიტჩენერს კარგად დაუსაბუთებინა კიდეც. შარშანაც ხომ ერთი თავის მეგობრისათვის მიუწერია: «სუდანში ბრძოლა ადვილი იყო. ბურებთან ბრძოლა მძიმე, მეტად მძიმე, შეუდარებლად უფრო მძიმე ყოფილა». კიტჩენერი გულ-ქვავი კაცია, თორემ ამაზე კაი სარდალს ინგლისელი ჯინგოისტები, კაპიტალისტები და ფინანსისტები თავიანთ დღეში ვერ იშოვიან. კიტჩენერის გამტყუნებას თავიანთ თავი რომ გაამტყუნონ. ის ურჩევნიათ ჯინგოისტებს. თითონ სიხარბემ გაიტაცათ, აშურდნენ, არავის არა ჰკითხეს, ომი დაიწყეს და ეხლა კიტჩენერს ამტყუნებენ. თორემ განა ცოტანი აფრთხილებდნენ, ბურებთან ომი ძნელი იქმნებაო. ამერიკელმა იუმორისტმა მარკ ტვენმაც კი გააფრთხილა ინგლისის მთავრობა: თუ ოხერი ფული არა გაქვთ და მოძულებული ჯარი არა გყავთ, ბურებთან ომს ნუ დაიწყებთო. ჭკვიანი ხალხის ნათქვამი მართალი გამოდგა და თუ ინგლისი ბურებთან ვერას ხდება, ამის ბრალი ლორდ კიტჩენერს არას დროს არ დადება.

✿ აბა ნახეთ რა ოსტატობით და მოხერხებით იბრძვიან ბურები. ლორდ კიტჩენერი სწერს სამხედრო სამინისტროს:

«პოლკოვნიკი დამარტი ორანჟეს რესპუბლიკაში მოქმედებდა. ბურების ერთი რაზმი მაჩისდორპში მიდიოდა და მდინარე რაპ სპრუიტში უნდა გასულიყო. დამარტი თავისი ცხენოსანი რაზმით გასავლელ ფონისაკენ გაჰქანდა. გზაში პოლკოვნიკმა ცხენოსანი ჯარის რაზმი შენიშნა. ეგონა ინგლისელი გენერალი ბრიუს-ჰამილტონის რაზმიაო. რაზმი ესკადრონებად იყო დაყოფილი, ჯარის კაცებს ჩამოქვეითნათ და ცხენები სადავეში ეჭირათ. ეს რაზმი უცებ გაჰქანდა და ინგლისელებს საშინელი თოფის სროლა აუტეხა. ხელად რვა კაცი მოჰკლეს. გამოჩნდა, რომ ბურები ყოფილიყვნენ. მთელი ჩვენი რაზმი, ოთხი კაცის გარდა, სულ ამოწყვიტეს».

ასე უწყალოდ იღვრება სისხლი სამხრეთ-აფრიკაში, ინგლისელი ჯინგოისტები კი ნირსაც არ იცვლიან. სულ თავისას გაიძახიან: ომი უკანასკნელ წერტილამდე უნდა მივიყვანოთ, ესე იგი ბურები მთლად დავიმორჩილოთო.

✿ მთავარ სარდალ ბოტას ხუთი ინგლისელი ოფიცერი დაუტყვევებია და ადრეც ანთავისუფლებს თურმე. ბოტას შეუთვლია კიტჩენერისათვის: «თუ კრიუცინგერს თითით დაჰხვრეტთ, მეც ამ ოფიცრებს დავხვრეტავო».

ავსტრო-უნგრეთი. გალიციის გარდა, სხვა ადგილებშიაც ბევრგან ახდენენ მანიფესტაციებს და პოზნანის პოლონელებს თანაგრძნობას უცხადებენ. ყველაზე მეტი მანიფესტაცია ჩეხებმა მოახდინეს, ბოჰემიაში და მორავიაში ბევრგან კრება გამართეს და პრუსიის მთავრობის პოლიტიკა სასტიკად გაჰკიცხეს. ამ საქმეზე ხომ ვენის პარლამენტშიაც ჩამოაგდეს ლაპარაკი. ამ საგანზედ გრაფმა ძედუშიცკიმ ილაპარაკა კარგად. პრუსიის მოხელეებს ხმა გაუვრცელებიათ, ვითომ პოლონელებმა იმიტომ ასტეხეს ასეთი აყალ-მაყალი, რომ უნდათ გერმანიას მეზობელი სახელმწიფოები გადაჰკიდონ როგორმე, ამ გარემოებით ისარგებლონ და თავიანთ ეროვნულ საქმეს უშველონ რამეო. როცა პოლონელებსა და გერმანიის მთავრობას მტრობა ჩამოუვარდათ, ერთი სახელმწიფოს გაზეთებს სწორედ ადგომა გაუთენდათ: საქმე გააჭორეს გერმანიის გაკიცხვით. პოლონელებს კიდევ გულწრფელ ძმურ თანაგრძნობას უცხადებდნენ. თითქო პოლონელების სიყვარული დამართებიათო, მაგრამ ისე აქამდე კრძალვით და მორცხვობით ვერ აცხადებდნენ ამ სიყვარულსაო. ამაზე გრაფ ძედუშიცკის უთქვა: «პოლონელების ერი დარწმუნდა, რომ ამისთანა საქმეს მარტო მტრები თუ ურჩევენ ხოლმე ბოლოს ისინი განზე რჩებიან და პოლონელებს კი ცუდი დღე დაადგებათ ხოლმე». გრაფს მოეხსენებინა, ხმა დადის, ვითომ პრუსიის მთავრობას მოეთხოვოს ავსტრიისათვის, პოლონელებს ნუღარ მისცემ ნებას გალიციაში მანიფესტაციები მოახდინონო. ამის შესახებ ძედუშიცკის უთქვა: «ჩვენ ისეთი გიჟები არა ვართ, რომ დიპლომატიურ ფერხულს მივყოთ ხელი. ჩვენ მარტო ავსტრიის სიკეთეზე ვფიქრობთ. ავსტრია ერთად ერთი ქვეყანაა, სადაც ეროვნებათა თავისუფლებაა დაკანონებული. ჩვენ საქმე არა გვაქვს სხვა სახელმწიფოებთან; როგორი პოლიტიკაც მიაჩნიათ სამართლიანად და საჭიროდ, ისეთ პოლიტიკას დაადგნენ. ეს პოლიტიკა თუნდ სამართლიანიც არ იყოს, მაინც იმათ საქმეში ვერ გავერევით, მაგრამ ნება გვაქვს მოვითხოვოთ, რომ ავსტრიის საქმეშიაც არავინ ერიოს, არავინ გვიტანდეს ძალას, რომ უსამართლო და უღირს პოლიტიკას მივსდიოთ და არა სცდილობდეს, ჩვენშიაც ის დანერგოს, რაც კაცობრიობამ უარ-ჰყო; არავის ნება არა აქვს, რომ ერთმანეთის მტრობა, ეროვნული დევნა, სისხლის ღვრა და სხვა ამისთანა დიდი ხნის დაწუნებული ბოროტი აზრები მოგვახვიოს თავზე.

ძედუშიცკის შემდეგ პოლონელმა სოციალ-დემოკრატმა დაშინსკიმ ილაპარაკა. დაშინსკიმ სთქვა: ეს პირველია, რომ პოლონელი თავად-აზნაურობის წარმომადგენლის მთლად ვეთანხმებით. ორატორმა შენიშნა: ხან-და-ხან საქმე მოიტანს ხოლმე რომ კაცს საერთაშორისო საზღვარი ველარ აჩერებს და კაცობრიობისა, განათლებისა და სამართლის დასაცველად ხმა უნდა ამოიღოს და პროტესტი გამოაცხადოს... პრუსიაშიაც სწორედ ამნაირი ამბავი მოხდა. მაინც ჩემის მხრივ ურჩევ პოლონელ თავად-აზნაურობას, რომ თავისს პატრიოტულ გრძნობას მაინც სცეს პატივი და პოლონელი ერის საცოდავ ყოფას უშველოს რამე. თავად-აზნაურობა მარტო პოლონელი ერის საერთაშორისო მდგომარეობაზე ჰფიქრობს, მე ურჩევ ეხლა ამ ერის სოციალურ მდგომარეობასაც ყურადღება მიაქციოს. პოლონელ ხალხს ნამდვილად გადაგვარება და მოსპობა მოელის, თუ ჩვენმა თავად-აზნაურობამ გლეხი ხალხის ყვლეფას და ცარცვას თავი არ დაანება. თუ თქვენ მართლა ავსტრიის სიკეთეზე ჰფიქრობთ, მაშინ ყველანი უნდა სცდილობდეთ, რომ ჩვენი ქვეყანა პოლიტიკურად გასაღდეს. კერბერი იმუქრება, კონსტიტუციას გავაუქმებო. ორატორს [illegible]თაც არ ეშინიან ამ მუქარისა. ავსტრიის მთავრობა პარლამენტს ვერ გააუქმებს, რადგანაც ავსტრიას უპარლამენტოდ ცხოვრება არ შეუძლიან; მარტო პოლიციისა და ჯარის შეწევნით ქვეყანას ვერ მოუვლიან. პარლამენტი რომ მოისპოს, ავსტრიის სახელმწიფოც მოისპობა. პარლამენტი აუცილებლად საჭიროა, ამიტომ ყველამ უნდა ეცადოს, რომ ეს დიდად საჭირო დაწესებულება მტკიცე საფუძველზე იყოს დამყარებული; მტკიცე, მკვიდრ საფუძველზედ კი მარტო საყოველთაო საარჩევნო უფლება ჩაითვლება. ამავე დროს რაც ჩვენში წოდებრივი, ან ეროვნული უპირატესობა და პრივილეგია არსებობს, უნდა სულ ერთიანად მოისპოს.

ახალი ამბავი

◆ საქართველოს ეგზარხოსი ყოვლად-უსამღვდელოესი ალექსი 14 დეკემბერს პეტერბურგში მისულა.

◆ კვირას, 23 დეკემბერს, ტფილისის საბჭოს დარბაზში დანიშნულია სხდომა ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლების, რომელთაც უნდა დაამთავრონ კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის მოღვაწეთა ახლად განზრახულ საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების წესდების პროექტის განხილვა.

◆ 19 დეკემბერს ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა შეერთებული სხდომა ტფილისის სასწავლებელთა გამგე-კომისიისა და ქალაქის გამგეობისა, რომელზედაც უნდა განეხილათ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ბ-ნ ზავადსკის წინადადება ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის ნაკლულევანებათა გასწორება-მოსპობის შესახებ, შეერთებულმა სხდომამ გარდასწყვიტა მოსთხოვოს ცნობა და განმარტებანი სახელოსნო სასწავლებლის ტეხნიკურ ნაწილის შესახებ სასწავლებლის დირექტორს, ხოლო საპედაგოგიო ნაწილის შესახებ კი სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭოს ამ ცნობების მიღების შემდეგ მოხდება მეორე სხდომა, რომელზედაც შეუდგებიან ბ. ზავადსკის მოწერილობის განხილვას,

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში ოთხშაბათს, 19 დეკემბერს, სხდომა ჰქონდა გამოფენის გამმართველ უმთავრეს კომიტეტს. სხდომაზე, სხვათა შორის, აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ შეადგინონ საიუბილეო-სამრეწველო გამოფენის სრული აღწერა რომელიც სამეურნეო საზოგადოებამ თავის ხარჯით გამოსცესო. კარგა ხანს რჩევის შემდეგ კომიტეტმა გარდასწყვიტა აღნიშნულ აღწერის შედგენა და მიანდო ამის შესრულება გამოფენის კამისარიატს; ამან უნდა შეადგინოს საზოგადო სურათი მთელის გამოფენისა, ხოლო უმთავრეს პავილიონის ყველა განყოფილებების ცალკ-ცალკე აღწერა დაევალა თითოეულის განყოფილების გამგეთ, რომელთაც ეს მინდობილება უნდა დაასრულონ მომავალ 1902 წლის 1 მარტამდე და წარუდგინონ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს თავის ხარჯით დასაბეჭდ გამოსაცემად. აღნიშნულ შრომათ გადასინჯვის შემდეგ საბჭო გამოსცემს ამ სათაურით: „კავკასიის 1901 წლის საიუბილეო სამეურნეო-სამრეწველო გამოფენა".

◆ კავკასიის გამოფენის ყოფილმა კომისარმა თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილმა სთხოვა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ რადგანაც გამოფენის გამგე-კომიტეტის წევრებს (25 კაცამდე) დიდი შრომა მიუძღვით გამოფენის საქმეში და მათ არავითარი გასამრჯელო არ მიუღიათ საზოგადოებისაგან, კარგი იქნება საბჭომ წარუდგინოს ისინი უმაღლეს მთავრობას და სთხოვოს ნაყოფიერის შრომისათვის მათი დაჯილდოება.

ჩემის ქაღალდებისაგან, რომელიც სხვა-და-სხვა დროს გამოგზავნილი მაქვს მის შესახებ გამგეობაში. მისი გამოფენაზე გასტუმრება, რასაც თქვენ კავკაველ ქართველებს აწერთ—ყველაზე უფრო ჩემი მოქმედებაა და ამას არც ბ. ბოცვაძე უარჰყოფს. რასაკვირველია, იმას, როგორც საზოგადოდ ყველას, თავისი ნაკლულევანებაც აქვს, მაგრამ გაზეთის ფურცლებზე ამის გამომზეურება, როგორც თქვენ ინებეთ სხვების შესახებ, მე არ მიმაჩნია შესაძლებლად.

თქვენ ამტყუნებთ მღ. ნათაძეს, არ შეგფერისთ წერა დევნილ მასწავლებელზე, რადგანაც თქვენ ნათესავები ხართო. მე კი თამამად შემიძლია მოგახსენოთ, რომ თქვენ მართლა არ შეგფერისთ ბ. ბოცვაძის ქება, რადგანაც ეს ქება სავსებით მოგვაგონებს „გუგულისა და მამლის" ერთი მეორის ქებას.

ბ. ბოცვაძემ პირადად თქვენ დიდი ამაგი გაგიწიათ. თქვენის სახელმძღვანელოების დაცვაში და გასაღებაში მას დიდი ღვაწლი მიუძღვის. თქვენს სახელმძღვანელოებს მან ახალი ბაზარიც მოუპოვა. თითქმის მთელი მისი ლიტერატურული მოღვაწეობა დამყარებულია თქვენსა და თქვენის აზრების ქებაზედ და დაცვაზე. თქვენ კი იმნაირად დააყენეთ საქმე, რომ საქართველოში თქვენი სახელმძღვანელოების და თქვენი აზრების დაცვა ნაციონალურ კითხვად მიაჩნიათ. ვინც მათ კრიტიკულად შეხედავს, ის სამშობლოს მოღალატეა, ვინც მათ აქებს და ადიდებს, რა თქმა უნდა, გმირია და პატივისცემის ღირსი. მე კი არ დაეთანხმე თქვენს აზრს და 1 განყოფილებაში უფრო ადრე შემოვიღე ლექსიური გაკვეთილები რუსულ ენაში, განვაძევე ქართული სკოლიდან, როგორც სახელმძღვანელო, თქვენი წიგნი „მოსავლის მცველნი" და ამიტომ თქვენს თვალში უწინდელი მეგობარი სამშობლოს მოღალატედ შევიქენი. ჩემთან ერთად შეიქნა მოღალატედ თქვენგან ახლა დევნილი მასწავლებელი, რომელმაც ჩემი განკარგულება სისრულეში მოიყვანა. ამ მხრივ თქვენს თაყვანისმცემელთა და მაქებართა შორის ბ. ბოცვაძეს საპატიო ადგილი უჭირავს.

თქვენ მოინდომეთ იმის დაჯილდოვება სამსახურის მხრივაც. განიზრახეთ დაგენიშნათ სენაკის სკოლის ინსპექტორად. მაგრამ გამგეობამ გიპასუხათ, რომ შესაფერი ცენზი არა აქვსო. მერმე მოინდომეთ გამგეობის მდივნის ადგილი მიგეცათ, მაგრამ არც ეს მოხერხდა. ამ ზაფხულში თქვენ უპირობდით მას და ახლაც ცდილობთ, ვგონებ, მის „სხვაგან" გადაყვანას.

ამ ამბავმა ჩვენზე ძალიან ცუდი შთაბეჭდილება იქონია. აგრეთვე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე თქვენმა სიტყვებმა: „თუ გოთუა ვერ განვაძევე კავკავის სკოლიდან და ბოცვაძე ვერ დავანიშვნინე გამგედ, მე გამგეობის წევრად აღარ დავრჩებიო" *). თქვენ შეასრულეთ ეს თქვენი დაპირება და მართლა დაანებეთ თავი გამგეობის წევრობას, სადაც თქვენ სასარგებლო კაცი იყავით და შეგეძლოთ კიდევ მეტი სარგებლობა მოგეტანათ მომავალში.

თქვენ თუ პირადობა არ გქონდათ სახეში, ასე არას დროს არ უნდა მოქცეულიყავით, აგრეთვე თუ სკოლაზე გული შეგტკიოდათ უფრო, ვიდრე ბოცვაძეზე, თქვენ არას დროს არ უნდა ცდილიყავით იმის აქედან გადაყვანაზე, რადგანაც თქვენც იცით და მეც ვიმეორებ, რომ ბ. ბოცვაძე კარგი პედაგოგია და სასარგებლოც არის სკოლისათვის.

ბ. ბოცვაძის გადაყვანა რომ მოგეხერხებინათ, მაშინ, დარწმუნებული ვარ, არც არსებულ წესსზე დაიწყებდით ასე თავ-გამოდებით ლაპარაკს. ახლა კი გსურთ შესცვალოთ ის წესი, რომლის ბატონობის დროსაც სკოლა ასე ბუნებრივად და ასე სასიქადულოდ გაიზარდა. ვგონებ, ამის შეცვლა შეუძლებელი იქნება, მაგრამ მე მაინც იმდენად პატივს ვსცემ თქვენს აზრს, რომ ვატან საზოგადოების გამგეობას ძალას, რომ თქვენ მიერ წამოყენებული კითხვა უსათუოდ განიხილოს პრინციპიალურად და კიდეც გადაწყვიტოს სამი თვის განმავლობაში მაინც, ისე კი, რამდენიც უნდა მთხოვონ, ჩემი უარის უკან წაღება შეუძლებლად მიმაჩნია...

ჩემდამი საპასუხო წერილში თქვენ დამდევით რამდენიმე ბრალდება: 1) რომ მე ვარ დატვირთული ხუთი ექვსი გაკვეთილით და მოკლებული ვარ თავისუფალ დროს, რომ 2) არ მაქვს სპეციალური განათლება, საჭირო კავკავის სკოლისათვის, 3) ვერიგებ თანამდებობებს სკოლის გამგისა და სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარისას და სხვა.

ყველაფერ ამის შესახებ საჭიროთ მიმაჩნია მოგახსენოთ შემდეგი: 1) მე ხუთი-ექვსი გაკვეთილით არ ვარ დატვირთული, რადგანაც ქართული სკოლისათვის მაქვს დატოვებული თავისუფალი გაკვეთილები, რომ საჭიროების დაგვარად საქმე ვინახულო და გავიცნო. 2) სპეციალური მომზადებისა და ცოდნის შესახებ რომ ლაპარაკი გავაგრძელო, თავის ქებად ჩამომერთმევა და მოგახსენებთ მხოლოდ, რომ საზღვარგარეთ ყოფნის დროსაც მიმიქცევია ყურადღება პირველ დაწყებითი სკოლებისათვის და აქ კი 4 წელიწადია მე ვასწავლი ქალების გიმნაზიის პედაგოგიურ კლასებში (8 საათი კვირაში) დიდაქტიკას, პედაგოგიკას და კერძო საგნების მეტოდიკებს და ვაძლევ საჩვენებელ გაკვეთილებს მოსამზადებელ კლასში. თუ მე ტეორეტიულად და პრაქტიკულად შემიძლია ვასწავლო და ხელმძღვანელობა გავუწიო რუსულ პირველ დაწყებითი სკოლების მასწავლებლებს, ნუ თუ არ შემიძლიან ხელმძღვანელობა გავუწიო ქართული სკოლის მასწავლებლებს! პედაგოგიური და მეტოდიური პრინციპები ხომ ქართული სკოლისათვის განსხვავებული არ იქნება?! ნუ თუ იმიტომ მაკლია სპეციალური მომზადება, რომ მოწაფეობის დროს, როშჩინის პედაგოგიკა არ მისწავლია?! მაგრამ ესეც საქმის უცოდინარობას გათქმევინათ... 3) მართალია, ახლა მე ვარ კავკავის სკოლისა და საკვირაო სკოლის გამგე და კომიტეტის

---

*) აქ მოყვანილ ფაქტების წერილობით საბუთებს ჩვენ წარვუდგენთ გამგეობის რევიზორს, ან თუ თქვენ მოისურვებთ, გავგზავნით გამგეობაში. პ. გ.

◆ გუშინ, 20 დეკემბერს, დასრულდა **ვადა**, რომელიც დაენიშნა კავკასიის გამოფენის **ექსპონენტებს** თავიანთ გამოფენილ ნაწარმოების წაღებისათვის გამოფენიდან. ამ დრომდე წაუღებელი ექსპონატები კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საკუთრებად ჩაითვლება.

◆ კავკასიის მთავარ-მართებელმა თავადმა გოლიცინმა, სცნო რა ბათუმის ოლქის, აჭარის ნაწილის, სოფ. გურტას მცხოვრების, მოლა იუნუსა-იუსუფ-ოღლის ამ მხარეში ყოფნა მავნედ საზოგადო წეს-წყობილების და **მშვიდობიანობისათვის**, საჭიროდ დაინახა, მეშვიდე მუხლის ძალით უმაღლესის ბრძანებისა უმართებულესის სენატისადმი 3 მარტიდან 1897 წლისა და თანხმად დადგენილებისა მასთან არსებულის საბჭოსი, აეკრძალოს მოლა იუნუს-იუსუფ ოღლის კავკასიაში ცხოვრება („ჩერნ. „ვესტნ.).

◆ ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის დადგენილებით, რაჭის მაზრის, ზვარეთის სოფლის საზოგადოებისაგან განამარტოვეს სამი სოფელი: შქმერი, ხარისთვალა და უშოლთა, რომელთაგანაც შეადგინეს ცალკე განსაკუთრებული საზოგადოება—**შქმერისა**.

◆ ხვალ, 22 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე გაზ. „კავკაზის" დროებით რედაქტორად ნამყოფის ბ-ნ უსპენსკისა და ამავე გაზეთის თანამშრომლის ბ-ნ გატცუკისა, რომელთაც ბეჭდვითი სიტყვით **ცილის წამება** ბრალდებათ.

◆ ამ დღეებში გათავდა ქალაქის **აფთიაქების რევიზია**. სხვათა შორის, რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ქალაქის აფთიაქს, რომელიც ძმათა ენიკოლოფოვებს აქვთ იჯარით აღებული, არა აქვს საორთქლე ქვაბი და აფთიაქისთვის ზოგიერთი საჭირო საგნები. საექიმო საბჭომ განკარგულება მოახდინა, რომ ყველაფერი დაუყოვნებლივ შეიძინოს აფთიაქმა, რაც კი აკლია. აფთიაქის მთელი ავეჯეულობა ქალაქისაა, და როდესაც იჯარით აძლევდნენ აფთიაქს, ზოგი ავეჯი არ გადაუციათ მოიჯარადრეებისთვის, თანახმად ხელშეკრულობისა. ამის გამო დაიწყო საჩივარი სასამართლოში. ოლქის სასამართლომ მართლად სცნო მოიჯარადრენი და ამასთანავე დასძინა, რომ მათ, მოიჯარადრეთ, აქვთ უფლება, ზარალი მოსთხოვონ ქალაქს. ეს საქმე ეხლა სამოსამართლო პალატაშია განსახილველად.

◆ ქალაქის გამგეობის წევრების „არჩევნები ვერმიშევის და ხოსროევის სამაგიეროდ, რომელთაც ვადა უთავდებათ, **გადასდეს** ხმოსანთა არჩევნებამდის.

◆ შაბათს, 22 დეკემბერს, ქალაქის საკრედიტო საზოგადოებაში მოხდება **საჯაროდ გასყიდვა** იმ უძრავ ქონებათა, რომელიც ამ საზოგადოებაშია დაგირავებული. ეს ქონება გაისყიდება სარგებლის შეუტანლობის გამო.

◆ მომავალ კრებაზედ საკრედიტო საზოგადოებისა აღძრული იქნება კითხვა იმის შესახებ, რომ **არჩევანი მოახდინონ** ერთის დირექტორთაგანისა.

◆ პირუტყვთა მფარველ ტფილისის საზოგადოებას გარდაუწყვეტია საზოგადო კრებაზე **შეიძინოს საკუთარი** სახლი რიყეზე 8,000 მანეთად—საავადმყოფოს მოსათავსებლად. ეს სახლი უნდა შეიძინოს საზოგადოებამ თავის ფულით; ამასთანავე ამ საქმეში მონაწილეობას იღებენ უცხო პირნიც, რომელნიც კარგა ფულს სწირავენ საზოგადოებას.

◆ კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზებზე წინანდელ დებულებათა მაგიერ გამოაცხადეს ახალი დებულებანი იმ ზომების შესახებ, რომელიც უნდა მიიღონ ბურუსიან და თოვლ-ქარიშხლიან დარებში, რათა მატარებელთა მიმოსვლა უზრუნველ ჰყონ **ხიფათისაგან**.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზების ნავთის გამყვანი მილები, მოვლისა შენახვისა და შეკეთების მხრივ, **ოთხ ნაწილად დაჰყვეს**: 1 ნაწილი (მიხაილოვოსი) სადგურ მიხაილოვიდან სადგურ სამტრედიამდის; 2 ნაწილი (სამტრედიისა) სამტრედიიდან სადგურ სუფსამდე; 3 ნაწილი (სუფსისა) სად. სუფსიდან სად. ბათუმამდე და 4 ნაწილი (ბათუმისა) შეიცავს სადგურისა, ქარხნებისა და სხვა ნავთის მილებს.

◆ ამას წინად ტფილისის სამრევლო-საეკლესიო სკოლების სამზრუნველო საბჭომ სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ **ქალაქის ექიმების** დახმარებით სარგებლობდნენ ქალაქის ზოგიერთი სამრევლო-საეკლესიო სკოლების მოწაფენიც. ეს საკითხი განსახილველად გარდაეცა ტფილისის სანიტარო-სამკურნალო საბჭოს, რომელმაც ის აზრი გამოსთქვა, რომ ქალაქის ექიმების დახმარებით შეუძლიანთ ისარგებლონ ხსენებულ მოწაფეებმა უფასოდ ისე, რომ მოწაფენი მიჰყავდნენ ავადმყოფობის დროს ექიმებთან და არა ექიმები მიდიოდნენ სკოლაში, თუ სახლში ბავშვებთან. ქალაქის გამგეობამ 19 დეკემბრის სხდომაზე მოიწონა სანიტარო სამკურნალო საბჭოს ეს მოსაზრება და დაამტკიცა იგი.

◆ ამ ბოლოს დროს, დღესასწაულების მოახლოების გამო, ჩვენმა ვაჭრებმა ფასი აუწიეს ხორაგეულს, მეტადრე ძალიან გააძვირეს კვერცხები, რომლებსაც **ასს ორ მანეთად ჰყიდიან**. ამას იმითი ხსნიან, რომ კვერცხს სულ საზღვარ-გარეთ მიეზიდებიან და სოფლებიდან ქალაქში სულ არ ჩამოაქვთ. ეს სულ ტყუილია, რადგანაც სოფლებიდან ჩვეულებრივ შემოაქვთ კვერცხი და საზღვარ-გარედ ძალიან მცირე იგზავნება. საჭიროა, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს, ვისიც ჯერ არს, და როგორც წარსულს წლებში, დაუარსოს ვაჭრებს გადაწყვეტილი ნიხრი.

◆ ამ დღეებში პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვიდა პეტერბურგის საბჭოს ცნობილი ოპოზიციონისტი ხმოსანი ნაფიცი ვექილი **ე. ი. კედრინი**. ბ-ნი კედრინი ტფილისის სამოსამართლო პალატაში თავ. ჭავჭავაძის ანდერძის შესახებ საქმის განხილვაში იღებს მონაწილეობას.

◆ როგორც ეტყობა, ქალაქის თავის მოადგილეს **საჩოთიროდ მიაჩნია**, რომ ქალაქის თვით-მმართველობაში მოსამსახურეთ მონაწილეობა მიიღონ სათეატრო წარმოდგენებში. თვით-მმართველობის საქმის მწარმოებელმა ბ. ვეიმანმა, რომელიც არტისტიულ საზოგადოების თეატრში იღებს ხოლმე მონაწილეობას, როგორც სცენის მოყვარული, ამ დღეებში ითამაშა სახაზინო თეატრში ბ. ბელსკის ბენეფისში, ოპერეტკა „კორნევილსკი კოლოკოლა"-ში. ამ გარემოებამ მისცა საბუთი ბ. ქალაქის თავს, რომ მიემართა ბ. ვეიმანისთვის და ოფიციალურად მოეთხოვა იმისგან პასუხი, თუ როდის და ვინ დართო მას ნება, რომ მან მიიღოს წარმოდგენებში მონაწილეობა? ანუ რა უპირატესობის გამო მისცეს მას ნება სხვა მოსამსახურეებთან შედარებით?

◆ **ტფილისის სამოსამართლო პალატაში ხვალ, 22 დეკემბერს, განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: სპირიდონ მახარაძისა, ისაკ გოლაშვილისა, რომელთაც კაცის მოკვლა ბრალდებათ, სვიმონ ბატიაშვილისა, ზაქარია და იობ ბარტიშვილებისა და დავით ტეგიშვილისა, რომელთაც კაცის მოკვლის განზრახვის ჩადენა ბრალდებათ, ბიძინა ლუდაშვილისა და მიხეილ ვალიშვილისა, რომელთაც ჩუმად არყის გამოხდა ბრალდებათ; ვასილ და თეოდოსია ბიბილაშვილებისა, სიყალბის ჩადენა ბრალდებათ, სამსონ ლორთქიფანიძისა, რომელსაც შეურაცხების მიყენება ბრალდება.**

◆ შუა ბაზარში მოვაჭრე ვართან გასპაროვის დუქანში აღმოაჩინეს სისტემატიურად სხვა და სხვა საქონლის ქურდობა. დღევანდლამდე ქურდებს მოუპარავთ სულ 400 მან. საქონელი. პოლიციელის გურგენიძის გამოძიებით ქურდები აღმოჩენილან მარტიროზა სააკოვი, ნიკოლოზ ოსიპიანცი, აგო პიპოიანცი. არამ პიპოევი და ევროიდ მარტიროზოვი; პოლიცია, ყველა აღნიშნულნი პირნი დააპატიმრა, გამოძიება სწარმოებს.

◆ ტფილისში მაწანწალა ძაღლების მჭერელ კონტრაგენტმა, სამარინმა, სთხოვა ქალაქის გამგეობას გაუქმდეს გამგეობის 20 ნოემბრის დადგენილება, რომლითაც მის მოქმედებას თვალ-ყური უნდ ადევნოს ტფილისის პოლიციამ. გამგეობამ ეს განცხადება განიხილა 19 დეკემბრის სხდომაზე და უყურადღებოდ დასტოვა იგი.

◆ პოლიციის მე-10 ნაწილში, სტატ. სოვეტ სტასენკოსათვის მოსამსახურეს აბაზ ახარიევს მოუპარავს სხვა და სხვა ძვირფასი ნივთები სულ 10 მან. ღირებულობისა და რაჭის მაზრის მცხოვრე დიმიტრი ჭელიძისათვის მიუბარებია. პოლიციამ შეიპყრო როგორც ახრიევი, აგრეთვე ჭელიძეც დ ორივენი პასუხის გებაში მისცა.

◆ ნიკოლოზის ქუჩაზე, საგინოვის სახლშ მცხოვრებ ნაფიც-ვექილის სერგეი ტერმინასიანცისათვის მოუპარავს მოსამსახურეს კონსტანტინე აბაევს ფულად 151 მან. და სხვა და სხვა ნივთებ 150 მან. ღირებულობისა სულ 301 მან. დამალულ აბაევის მოსაძებნად და დაკარგულ ნივთების აღმოსაჩენად პოლიციისაგან საშუალება იქმნა მიღებული.

ქუთაისის ახალი ამბები

〜 ქუთაისის რეალური სასწავლებელი ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაშია საკლასო ოთახების ვიწროობისგამო. ხსენებული სასწავლებელი ამ ჟამად მოთავსებულია ინგლისის ქუჩაზე, მდივნის სახლში, რომელშიაც 2,800 მან. იხდის წლიურ ქირას. ამ წლიდან უკვე შეუდგენ საკუთარ სადგომის აშენებას, მაგრამ, როგორც მუშაობიდან სჩანს, ორ წლამდე არ დასრულდება იგი. ახალი სადგომი შენდება ბ. ბ. ზურაბიშვილ, იოსელიან და მდივნისაგან შეძენილ ადგილზე ტფილისისა და ინგლისის ქუჩებს შუა და ეღირება 200,000 მ. მეტი. რადგანაც ამოდენი ფული დაიხარჯება, სასურველია პედაგოგიურმა სასწავლებლის საბჭომ იხელმძღვანელოს ტფილისის მეორე სავაჟო გიმნაზიის ახალი შენობის გეგმით, რომელიც სამეურნეო გამოფენაზე წელს დაჯილდოვებულ იქმნა ოქროს მედლით.

〜 მარგანეცის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ფ. ზდანოვიჩი ამ ჟამად ქ. პეტერბურგშია და მონაწილეობას იღებს სატარიფო კომიტეტის სხდომებში, რომლებზედაც, სხვათა შორის, უნდა განიხილონ მარგანეცის მრეწველთა კრების თხოვნა, ტარიფის შემცირების შესახებ. დღემდე არსებულ ტარიფის (ფუთი 7 კაპეიკი) გადახდა ძლიერ ეძნელებათ მარგანეცის მწარმოებელთ, მეტადრე ეხლა, როცა ევროპის ბაზარზე ფასები ძლიერ დაეცა.

〜 გუშინ, 20 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების არტემ ჭაბუკიანისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ბრალდებოდა. ქუთაისის ოლქის სასამართლომ ჭაბუკიანი დამნაშავედ სცნო აღნიშნულ ბრალდებაში და გარდაუწყვეტია მისთვის უფლებათა ჩამორ-

---

თავმჯდომარეც, მაგრამ ეს თანამდებობები მე თვითონ არ შემიერთებია და არც ვცდილვარ, რომ ყველაფერი ჩემს თავზე მიმეღო: მე ჩამოვედი კავკავში ეს მეხუთე წელია. პირველ წელიწადსვე ამომირჩიეს საკვირაო სკოლის მდივნად და სამზრუნველო კომიტეტის წევრად. კომიტეტმა ამომირჩია მდივნად. მდივნობა შემხვდა ძალიან ცუდს დროს. სკოლის გამგე და კომიტეტის თავმჯდომარე ერთი მეორეს შრომის განაწილების შესახებ ეცილებოდნენ. ეს დავა გათავდა იმით, რომ თავმჯდომარემ უარი განაცხადა და ახალი თავმჯდომარე კი ვერ ვიშოვნეთ.

სკოლის გამგისა და მასწავლებლის შორის გაიჩარხა ინტრიგები, რომლის შედეგი უნდა ყოფილიყო გამგის გადაყენება და მასწავლებლის გამგედ დანიშვნა. ყველაფერ ამას დაემატა ის, რომ კომიტეტის ორ პატივცემულ წევრთა შორის პირადი უკმაყოფილება მოხდა ახლად აშენებულის სკოლის ეკლესიის საქმეების გამო და ამ უსიამოვნების მიზეზით საზოგადოება ორ ბანაკად გაიყო და სკოლასაც ძალიან ბევრმა მოკეთემ ზურგი შეაქცია. თვით სკოლაში ინტრიგებმა იმატეს და მაშინდელმა გამგემ —ბ. კახიძემ გამგეობაზე უარი განაცხადა. მასწავლებელი გამგედ ველარ დაამტკიცეს და, რადგანაც ბ. კახიძე აღარ დათანხმდა ამ პირობებში დარჩენილიყო გამგედ, ტფილისის გამგეობამ მე მომმართა თხოვნით. ამ თხოვნაში თქვენც მიიღეთ მონაწილეობა. მე იძულებული ვიყავი ორი წლის წინათ, გამგეობის თხოვნის თანახმად, მიმეღო სკოლის გამგის თანამდებობა. არავითარი პირობები გამგეობას ჩემთვის არ დაუდვია და არც შეეძლო დაედო, რადგანაც ის მთხოვდა და არა მე. აქაც დამამტკიცა გამგედ დირექტორმა და აგრეთვე ოლქის უფროსმაც, როგორც პასუხის მგებელი და როგორც ადგილობრივი პატრონი (распорядитель) სასწავლებლისა. ამის შემდეგ ჩვენ მოვახდინეთ ახალი არჩევნები და როგორც იქნა კომიტეტის წევრები იშოვნა სკოლამ, მაგრამ თავმჯდომარის შოვნა კი არ მოგვეწყო. ვერ ვიშოვნეთ კომიტეტის მდივანიც და ამნაირად მე დავრჩი ძველებურად კომიტეტის მდივნად და მივიღე ახალი თანამდებობაც, რომელსაც მალე საკვირაო სკოლის გამგეობაც" დაემატა. გასულ წელში, როდესაც აქ ბ. იოსელიანი ბრძანდებოდა, საგანგებოთ დანიშნა კომიტეტის კრება თავმჯდომარის ამოსარჩევად.

თუმცა მე ბევრი უარი გავაცხადე, მაგრამ მაინც ამომირჩიეს თავმჯდომარეთ და იძულებული გამხადეს, დავთანხმებულიყავი, მით უმეტეს რომ ამ თანამდებობას ფაქტიურად წინადაც ვასრულებდი, როგორც კომიტეტის მდივანი. ამ ორი თანამდებობის შეერთებას სკოლისათვის არავითარი ზიანი არ მოუტანია, მხოლოდ ინტრიგების მოსპობა სკოლაში გამგის როლის შესახებ მაინც შეუძლებელი შეიქნა. და ამ ინტრიგებმა იძულებული გაგვხადეს, დაუსრულებელი პოლემიკა დაგვეწყო. თქვენ გიკვირთ, რატომ მე მარტო გამგის თანამდებობაზე უარი არ განვაცხადე—და ერთად ვსთქვი უარი ორივე თანამდებობაზე. ეს იმიტომ, რომ უკანასკნელ არჩევნებზე მე კომიტეტის წევრობაზე კენჭი არ მიყრია, რადგანაც სკოლის გამგე ითვლება კომიტეტის აუცილებელ წევრად და ამიტომ მე ვარ კომიტეტში, როგორც გამგე და არა როგორც არჩეული პირი და ამიტომ, რაკი გამგეობას თავს ვანებებ, მე კომიტეტის წევრიც არ ვიქნები და, როგორც არა წევრს, არც თავმჯდომარეობა შემიძლია გავწიო; ამიტომ ჩემი დეპეშა სრულებით არ იყო მყვირალა და შეუფერებელი, როგორც თქვენ ამტკიცებთ...

რაც შეეხება „ჩემს ბატონობას", უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს ხასიათს ბატონობა სრულებით არ შეჰფერის და მკაცრი ბატონი და მიუკარებელი რომ ვიყო, ვერც აქაურ საზოგადოების ნდობას და თანაგრძნობას დავიმსახურებდი და ჩემს წინააღმდეგ მოქმედებას მაშინ ტფილისშიაც არ გადმოიტანდნენ, სადაც მე არ მიცნობენ, აქვე დაიწყებდნენ და კიდეც შეასრულებდნენ, თუ რაც სურდათ. მკაცრი ბატონობა ყოველთვის აფრთხობს ხალხს და აქ კი ყველა შეამჩნევს, რომ ხალხი თავისს სკოლას დიდის სიყვარულით და თანაგრძნობით ეპყრობა. სკოლის დღესასწაული მას საკუთარ დღესასწაულად მიაჩნია, სულ უბრალო დღის მუშებიც კი თავისს შეძლების და გვარად სკოლას ეწევიან და მართლაც სკოლის კარები ყველასათვის ღიაა და ყველას შემწეობას აქ ფასი და განმავლობა აქვს. აქ სუფევს ჩვენსა და ხალხს შორის კეთილი და თავაზიანი მოპყრობა და არა ბატონობა. სკოლის ადმინისტრაციაშიაც შეუძლებელია ბატონობა, რადგანაც სკოლას განაგებს ორი კოლლეგიური დაწესებულება—პედაგოგიური რჩევა და სამზრუნველო კომიტეტი და ბატონობაც რომ მოვინდომო, არავინ მაბატონებს, რადგანაც მე საგნის გადაწყვეტაში თითო ხმა მაქვს და ყველაფერი ხმის უმეტესობით წყდება. თუ რამ აქ ვერ გადავწყვიტეთ დაბოლოვებით, იმას ტფილისის გამგეობას გავუგზავნით გადასაწყვეტად...

თქვენ მაყვედრით, რომ პირველ შემთხვევაზედვე ტფილისსა ან ქუთაისში „გადმოფრინდებითო". რასაკვირველია, „გადმოფრენაზე" უარს არც მასწავლებელი იტყვის, და მეც უნდა მოგახსენოთ, რომ სამუდამოთ კავკავში დარჩენას არ ვაპირობ და ადვილი შესაძლებელიც არის ამ „ინცინდენტის" შემდეგ „გადმოვფრინდე" უფრო ადრე, ვიდრე ამას ვფიქრობდი. მხოლოდ ეს კია რომ, სადაც უნდა დავრჩე, ჩემი შრომა და ცოდნა მეტი და უსარგებლო არსად არ იქნება.

დასასრულ საჭიროდ მიმაჩნია გამოგიცხადოთ ჩემი თანაგრძნობა იმის შესახებ, რომ ამ ინცინდენტმა მართლაც ბევრი საწყენი შეგახვედრათ, მე არც მსურდა თქვენი წყენინება და არც დამიწყია ეს ამბავი. ტყუილად კი არ უთქვამს ხალხს: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო".

ზაქრო გოთუა

თმევა და მატამართა გამასწორებელ რაზმში წელიწად ნახევრის ვადით გაგზავნა. პალატაში ჭაბუკიანს იცავდა ნაფიცი ვექილი თავ. ფადავა. პალატამაც დამნაშავედ იცნო ჭაბუკიანი და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

პრესსა

ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ბ.ბ. ალ. მირიანაშვილისა და გ. წყალტუბელის წერილები ბავშვების აღზრდისა და ქართულ ენის სწავლების შესახებ ჩვენებურს ოჯახში. ორივე ავტორები ამასთანავე იწვევდნენ ქართველ მშობლებს მიაქციონ ყურადღება საყმაწვილო ჟურნალს „ჯეჯილს“, რომელსაც შეუძლია სამსახური გაუწიოს ქართველ ოჯახს შვილების აღზრდის საქმეში. ამ საგნის გამო დაბეჭდილია «ჯეჯილი»—სავე უკანასკნელს №-ში აკაკის წერილი, რომლის გადაბეჭდვას გვთხოვს ხსენებული რედაქცია. აი აკაკის წერილიც:

„ერთმა ევროპიელმა ბრძენმა სთქვა: „ბავშვებს ის არ არგებს, რაც დიდებსაც არ აწყენსო.» და ეს ჭეშმარიტება სწორედ ზედ გამოჭრილია თქვენს „ჯეჯილზე“. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ, თურმე, მაგ ჩინებულ საყმაწვილო ჟურნალს გამომწერლები ბევრი არა ჰყავს. ეს ან ქართველურ დაუდევრობის ბრალი უნდა იყოს, ან გულგრილობის და ორივე შემთხვევაში კარგი ნიშანი ვერ არის დღევანდელი ჩვენი მდგომარეობის!—ის ოჯახი, რომელსაც სიღარიბე ხელს არ უშლის და სადაც ამ გვარი ჟურნალ-წიგნაკები არ მოიპოვება, ქართულ ოჯახათ სახსენებელი აღარ არის!.. გამოცდილებით ვიცი, რომ საზოგადოთ ქართულ წიგნებს მკითხველები უფრო დაბალი წოდებიდან მეტი ჰყავს და რომ სიღარიბე ხელს არ უშლიდეს მათ, მსურველები ერთი ასათ მეტი გამოჩნდებოდნენ. შეძლებულ ქართველების მოვალეობაა, რომ თვითონ თუ არ ჰკითხულობენ, იმათ მაინც მიაწოდონ ხოლმე ეს სულიერი საზრდო და მათი მადლი მოისხან. მეც ჩემის მხრით, რადგანაც იმ ღარიბების დახმარება მატერიალურათ არ შემიძლია, გადავწყვიტე, რომ ყოველი ნომრისათვის მოგაწოდოთ ხოლმე მცირე რამ ჩემი სუსტი კალმის ნაწარმოები, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ექვსი ერთად „ჯეჯილისა“ უსასყიდლოთ გაეგზავნოს ხოლმე ხელმოკლე მსურველებს“.

თავის მხრით „ჯეჯილი“-ს რედაქციაც უნდა ეცადოს და გააუმჯობესოს ჟურნალი, რათა საბავშვო ჟურნალის გამოწერა მაინცა და მაინც საჭირო გახდეს.

თეატრი

სახაზინო თეატრი

«ევგენი ონეგინი», ოპერა, მუსიკა ჩაიკოვსკისა. საუკეთესო რუსეთის კომპოზიტორმა ჩაიკოვსკიმ თავი უკვდავ ჰყო სხვა ოპერებთა შორის «ევგენი ონეგინითაც», რომლის მუსიკა მშვენივრად ჰხატავს სცენაზე მოქმედთა პირთა სულის მდგომარეობას, სიცოცხლეს. ტფილისელთ უყვართ ჩაიკოვსკი, თაყვანს სცემენ მის მუსიკას. 19 დეკემბერს დადგეს ეს ოპერა ცოტა რამ გარეგნულის ცვლილებით. პირველ მოქმედების პირველმა, მეორემ და მესამე სურათებმა ცოტა სუსტად ჩაიარეს. სუსტნი იყვნენ ყველანი თითქოს ეხამებათო. თვით კამიონსკიც კი ვერ ვიცანით, არა ჰგვანდა წინანდელ ონეგინს. ინსაროვისა ტატიანას პარტიაში სუსტი იყო მეტადრე მესამე სურათში წერილის დაწერის სცენაში. მეორე მოქმედებაში უფრო ცოცხლად ჩაიარა ოპერამ. კამიონსკი უფრო კარგი ონეგინი იქნებოდა, რომ მეტი გრაცია ჰქონდეს და ნაკლები სისასტიკე, სიმკაცრე სახისა, მეტადრე პირველ მოქმედებაში.

მაინც იმედია მეორეთ უფრო კარგად ჩაივლის, მეტადრე თუ ტატიანის პარტიაში ბრონსკისა იქნება. თამაშობა-სიმღერაში დიდი მნიშვნელობა აქვს პარტნიორებისაგან ერთმანერთის წახალისებას. დღესაც «ევგენი ონეგინია» დანიშნული, ხოლო პარტიები სულ სხვანაირად არის განაწილებული: ონეგინის პარტია უკისრნია მაკსაკოვს, რომელსაც, თუ ხსოვნა არა გვღალატობს, ტფილისში არ აუსრულებია ეს პარტია. ტატიანის პარტიას ასრულებს გუშბონისა და ლენსკისას—ბარისენკო.

პროვინცია

კახეთი. კახელების აწინდელი ცხოვრება გადაბრუნებული ურემია, ხოლო ის ურემი კი არა, რომლის გადაბრუნების შემდეგ გზა გამოჩნდება ხოლმე; არა, ის ურემია, რომელსაც არც ფეხზე დამყენებელი უჩანს და არც გზის მაჩვენებელი: მთელი ზემო კახეთის დროებით ვალდებულ გლეხთა უმრავლესობა დღევანდლამდე იმავე პირობებშია, როგორ პირობებშიაც ბატონ-ყმობის მოსპობამ ჩააყენა, გარდა თ. დ. ჭავჭავაძის ორი სოფლისა და კიდევ ერთი-ორი მებატონისა «საკომლო» (ნადელი) შესყიდვა არსად არ არის განხორციელებული.

როცა წარსულ წელს მემამულეთ ცნობები ჩამოართვეს მამულის რაოდენობისა, იმათ მთელი თავისი მამულის რაოდენობა უჩვენეს, 90% საკომლო მამულებისა თავიანთ საკუთრებად უჩვენეს, რადგანაც ჯერ ისევ გამოუსყიდავია.

დაურიგდათ მემამულეთ და გლეხთაც მიწის გადასახადის ფურცლები, აგრეთვე სახელმწიფო გადასახადისა. აღმოჩნდა, რომ ერთსა და იმავე მიწის ორ-ნაირი გადასახადი (Земскій и государственный) მებატონემაც უნდა მისცეს და მისმა დროებით ვალდებულმა გლეხმაც.

როცა ხმა გაისმა, ხარჯი კომლურად აღარ გამოერთმევათ, მარტო მამულზე შეაწერენ და მამულის მესაკუთრეს გადაჰხდებაო, ყველა მოხარჯემ კუთვნილი მამულის რაოდენობის დაგვარად მოიმარჯვა ქისა ხარჯის გასასტუმრებლად. შეწერილი ხარჯი კი ერთი-ათად, ერთი-ოცად ადემატებოდა მოსალოდნელს და მომარჯვებულმა ქისამ ვერ დააკმაყოფილა.

მეტის-მეტი გულმოდგინეობით იქცევიან მამასახლისები და არავითარ საშუალებას არ ერიდებიან.

ხარჯი იმდენად გამრავალფეროვანდა, რომ აღარც იმათ იციან, ვინც ჰკრეფავს, რა არის და რისთვის.

მთელი ზაფხული, შემოდგომა და აგერ ზამთარშიაც საქონლის ჭირს ებრძოდნენ და ებრძვიან ვეტერინარები, მაგრამ ჭირი მაინც არ ისპობა. ჭირიან სოფლებიდან საქონელს სამუშაოდ აღარ უშვებენ. ახლა რომელი აღარ არის ჭირიანი სოფელი?.. ამ ნაირად გლეხ კაცს მოაკლდა ქირით შემოსავალი, მოაკლდა შეშა-ფიჩხის გაყიდვით ნაშოვარი ამ ადაქოთის დროს.

წელსვე აქციზის ახალი გარდასახადის წყალობით, სრულიად უფასოდ გახდა ჭაჭა და თხლე.

გახშირდა წვრილ-წვრილი ქურდობა; ეს თითქმის ყოველ-დღიურ მოვლენად გარდაიქცა. თითქოს ბუნებაც წინაღუდგა კახელს. ვაზები დაიზიანა, რაც, რასაკვირველია, მომავალ მოსავალს უდაოდ დასტყობს. დღესაც კი ადებს თავის დაღს. თაგვები საშინლად გამრავლდა.

ნადიკვრელი.

საღამოს დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

20 დეკემბერი.

პეტერბურგი. 18 დეკემბერს ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა ლეიბ-გვარდიის მისი უდიდებულესობის პირველი ბატალიონი.

ლონდონი. პეკინიდან იუწყებიან, რომ ტუნფუსიანი და პრინცი ტუანი დარჩნენ ქალაქ ნინიანფუს პრეფექტურაში, იმის მაგიერად, რომ წასულიყვნენ თურქესტანში, სადაც ისინი თავის დროზედ იყვნენ გაგზავნილები. ეხლა ხან იქ მომხდარ მკვლელობას, რომლის მსხვერპლიც შეიქმნენ უცხოელი მისიონერები და გაქრისტიანებული ჩინელები, იმათ იქ ყოფნას აწერენ.

ბერლინი. ახალ წლის გამო სასახლეში საოჯახო მლოცვიარობა აიხსნა. წირვის შემდეგ მიულოცეს მათ უდიდებულესობათ. შუადღის შემდეგ იმპერატორი ელჩებთან წავიდა.

მოსკოვი. კიდევ ერთი სახლი გახსნა ლოთობის წინააღმდეგ საზოგადოებამ; ამ სახლთან სამკითხველოა და წიგნთ-საცავი.

ვიატკა. საგუბერნიო საერო კრება დაიხურა.

ხარკოვი. საგუბერნიო საერო გამგეობის თავმჯდომარედ ამოირჩიეს კიდევ გარდეენკო.

იალტა. თბილი დარია, ზღვა მშვიდია; მთებში ცოტა თოვლია.

კიევი. მეორე შემთხვევა იყო ცხენის ქოთაოთი ავადმყოფობისა. გახდა ავად დედაკაცი, რომელიც სამს ქოთაოთ ავადმყოფ ცხენებს უვლიდა.

რომი. როდესაც ახალწლის გამო ბარერმა ელჩები მიიღო, სთქვა, რომ წარსულ წელს განმტკიცდა და საბოლოოდ გამაგრდა მეგობრული კავშირი იტალიასა და საფრანგეთს შუა.

პარიზი. ლუბემ ინახულა დიპლომატიური კორპუსი ელისეს სასახლეში.

დღეს ცეცხლმა იფეთქა ბარონ მორენგეიმის სახლში. საჭირო დოკუმენტები გადაარჩინეს.

პეტერბურგი. აქტის გათავების შემდეგ საიმპერატორო-სამხედრო აკადემიაში, სამხედრო მინისტრმა მიმართა შეკრებილ სამხედრო ექიმებს და უმაღლესი კურსების სტუდენტებს დაახლოვებით შემდეგის სიტყვებით: „ბატონებო, შემიძლიან გაუწყოთ, რომ დღეს ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება წარმოეთქვა თავისი თანხმობა შესახებ ჯამაგირის მომატებისა ყველა სამხედრო ექიმთა და, ჩემი შუამდგომლობის გამო, უმაღლესი წყალობის ნიშნად, ვიდრე კითხვა საკანონმდებლო წესით გარდაწყდებოდეს, ბრძანა, ეხლავე მიეცეს სამხედრო ექიმებს, როგორც ერთხანობითი დახმარება, ორი თვის ჯამაგირი“. დიდხანს არ შეწყვეტილა აკადემიაში აღტაცებული „ვაშას“ ძახილი.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის

„მოამბე“-„ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით.

ყოველ თვიური ჟურნალი

„მ ო ა მ ბ ე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	18 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით.

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	11 მ. — კ.
6 თვით	4 „	6 თვით	6 „ 50 „
1 „	75 „	1 „	1 „ 10 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

სურათებიანი დამატება

გაეგზავნება მხოლოდ ორივე გამოცემაზე ხელის მომწერთ.

წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან., 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—2 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კაპ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და კონტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“

საბედნიერ-დღეოდ

ისყიდება ფარმაცევტთა ამხანაგობის მაღაზიებში

(სასახლის ქუჩაზე და მუხრანიანთ ქუჩაზე)

შობის ხის სრული მორთულობა

კოლოფი 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 10, 12, 15, 20 და 25 მანეთიანი. აქვე ისყიდება საგანგებოდ არჩეული საჩუქრებისთვის ფოტოგრაფიული აპპარატები და მათი კუთვნილება, სტერასკოპები და მათთვის სურათები.

საპირფარეშო სამკაული და ყველა ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ.

ტელეფონი № 741.

ადრესი დეპეშ.: Тиф. „Фармацевтика“.

Открыта подписка

на 1902 годъ

НА ИЗДАЮЩУЮСЯ ВЪ РОСТОВѢ НА ДОНУ

большую ежедневную политическую, литературную и экономическую газету

„Приазовскій Край“

СЪ ЕЖЕНЕДѢЛЬНЫМИ ИЛЛЮСТРИРОВАННЫМИ ПРИЛОЖЕНІЯМИ.

XII годъ изданія.

Давая ежедневно общирную хронику явленій и событій общей русской и заграничной жизни, „Приазовскій Край“ преслѣдуетъ разъ намѣченную цѣль—широкую разработку мѣстныхъ краевыхъ вопросовъ и нуждъ по всѣмъ отраслямъ общественной, экономической и торгово-промышленной жизни. Всѣ факты, отмѣченные общественнымъ интересомъ, находятъ мѣсто и надлежащее освѣщеніе на страницахъ газеты.

Собственные корреспонденты въ крупнѣйшихъ европейскихъ центрахъ, во внутренной Россіи и во всѣхъ мѣстностяхъ Донской области, Приазовья и Сѣвернаго Кавказа.

Собственныя и агентскія телеграммы политическія, общественныя и биржевыя.

Въ еженедѣльныхъ „приложеніяхъ“—иллюстраціи, беллетристика, новости науки, литературы и промышленности, смѣсь.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ ВЪ РОССІИ:

Съ доставкой и пересылкой для городскихъ и иногороднихъ подписчиковъ:				без доставки для городскихъ подписчиковъ:			
на годъ	9 руб.	—	к.	на годъ	8 руб.	—	к.
6 мѣсяцевъ	5 „	—	„	6 мѣсяцевъ	4 „	50	„
5 „	4 „	25	„	5 „	3 „	75	„
4 „	3 „	50	„	4 „	3 „	—	„
3 „	2 „	75	„	3 „	2 „	25	„
2 „	2 „	—	„	2 „	1 „	50	„
1 „	1 „	—	„	1 „	— „	80	„

За пересыльку газеты за границу взимается сверхъ подписной цѣны добавочныхъ 60 коп. ежемѣсячно. За перемѣну адреса взимается: съ иногороднихъ или съ городскыхъ на иногородніе 25 коп.

Подписка принимается: въ Ростовѣ на Дону, въ главной конторѣ газеты „Приазовскій Край“.

Разсрочка подписной платы допускается только для лицъ, подписывающихся съ 1-го января на годъ (о чемъ должно быть заявлено при уплатѣ перваго взноса), и только на слѣдующихъ условіяхъ: I) полугодичная—при подпискѣ—5 р. и къ 1-му іюля—4 р. и II) зъ три срока: при подпискѣ—4 р., къ 1 мая—3 р. и 1 сентября—2 руб.

(ვ. 3—1) Редакторъ и отвѣтственный издатель С. Х. Арутюновъ.

[illegible]